ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"
ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232–88–15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-121/14

29 ოქტომბერი 2014 წელი

საექსპერტო დასკვნა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანში მდინარე ძირულაზე საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოთა შესრულებაზე დამადასტურებელი ფორმა №2-ის შემოწმება

აღნიშნული სამუშაოები შეასრულა ი/მ „პავლე ქემერტელიძემ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარესთან ქალბატონ ინგა ზაბახიძესთან 2014 წლის 25 ივნისს დადებული №101 ხელშეკრულების საფუძველზე.

საექსპერტო დასკვნის შედგენის საჭიროებით გადმომეცა წინასწარი ხარჯთაღრიცხვა და ფორმა №2 მასში დაფიქსირებული სამუშაოთა რაოდენობებით. ადგილზე დავათვალიერე ობიექტი და გადავამოწმე ფორმა №2 ჩამოთვლილი სამუშაოები, მათი ფართები და მოცულობები საკონტროლო აზომვების ჩატარებით, აგრეთვე მოვახდინე შესრულებულ სამუშაოთა ფოტო ფიქსაციაც.

საფეხმავლო ხიდის სიგრძე 20 გრძივი მეტრია, დაახლოებით შუა წელში ეწყობა ბურჯი, მისასვლელზე და სასაფლაოს გამოსასვლელისკენ რკინაბეტონის საყრდენი ბურჯებია. მდინარე ძირულას შუაში მოწყობილი ბურჯი, რომელიც შედგება ლითონის გარსაცმელისაგან დიამეტრიც 2 მეტრი და სიმაღლით 2,6 მეტრი, რომელშიც ჩაყოლებულია არმატურის კარკასი ჩასხმულია ბეტონი მარკა კლასით B-20. მასზე ზემოდან დაყოლებულია ორი მილი დიამეტრით 200 მმ, სიმაღლით 3 მეტრი, რომელსაც ეყრდნობა ლითონის მალები, ორივე მხარეზე მოწყობილია და შეღებილი ლითონის მოაჯირები ოთხკუთხა მილებისაგან.

მიწის სამუშაოები შესრულებულია ბულდოზერით და ექსკავატორით საერთო მოცულობით 51 მ³ გრუნტის ამოღება-გადაადგილებით, ხიდის ბურჯებში ჩასხმულია ბეტონი 21,5 მ³, განაპირა ბურჯებში ჩაყრილია ხრეში 25 მ³, შესყიდულია ხის მასალა ქარგილების მოსაწყობად 2,5 მ³ რაოდენობა, არმატურა A-III კლასი 0.8 ტონა, ასევე მაკომპლექტირებელი მასალები – შესაკრავი მავთული, ლურსმანი, საღებავები და ა.შ. აქვე აღსანიშნავია, რომ გადასასვლელი ხიდის სავალი ნაწილის ლითონის მალების დაწყობაზე გათვალისწინებულია მხოლოდ ავტოტრანსპორტის მომსახურება, ვინაიდან სოფელმა გამოიყენა სოფლის კუთვნილებაში არსებული ადრე დაშლილი ხიდის ლითონის კონსტრუქციები.

ფორმა №2 მიხედვით პირდაპირმა ხარჯებმა შესრულებულ სამუშაოებზე შეადგინა 9404,19 ლარი სატრანსპორტო ხარჯების გარეშე მასზე დარიცხული ზედნადები ხარჯების (6%) და გეგმიური დაგროვების (6%) ჩათვლით ღირებულება შეადგენს 10566,55 ლარს (ათი ათას ხუთას სამოცდა ექვსი ლარი და 55 თეთრი). ხოლო სატრანსპორტო ხარჯების დამატებით 3529,38 ლარი მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 14095,93 (თოთხმეტი ათას ოთხმოცდა თხუთმეტი ლარი და 93 თეთრი).

აღნიშნულით სატრანსპორტო ხარჯებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობის მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანებაში პუნქტი №3 სამუშაოების შემსრულებელმა ინდმეწარმემ დაქირავებული სამშენებლო-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობისას შესრულებული სამუშაოების აქტში მათი დაფიქსირება უნდა მოახდინოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის გარეშე.

საქართველოს კანონმდებლობით იურიდიული პირი თუ მისი წლიური შემოსავალი ასი ათას ლარზე ნაკლებია დამატებითი

ღირებულების გადასახადს არ იხდის და მოცემულ შემთხვევაშიც შესრულებულ სამუშაოებზე დღგ გათვალისწინებული არ ყოფილა.

საფეხმავლო ხიდის სიგრძე 20 გრძივი მეტრია, სიგანით 1,5 მეტრი, ორივე მხარეზე მოწყობილი მოაჯირები შეღებილია. სამუშაოები შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით. გარდა მდინარეში მოწყობილი ბურჯისა, მშენებლობის პროცესში ვერ მოხერხდა მდინარის კალაპოტის შეცვლა, რის გამოც ნაცვლად ხის ქარგილის მოწყობისა მდინარეში საპროექტო ღერძებზე ამოღებულ იქნა მდინარის ზედაპირიდან 2,60 მეტრი ჩაღრმავებით, კლდის ფენამდე ფუძის გამორეცხვის გათვალისწინებით, შიგ ჩაიდგა ლითონის მილი დიამეტრით 2 მეტრი, რომლის ფსკერიც წყალშეუღწევადობის საჭიროებით დაილუქა ლითონის ფურცლით და შიდა სივრცე შეივსო მონოლითური რკინაბეტონით თანახმად საპროექტო დოკუმენტაციისა, ასევე ბურჯის მილები შეიღება და დაცულია ანტიკოროზიული ლაქით. მიმაჩნია, რომ კონსრუქციული ცვლილებით ბურჯის ამტანუნარიანობა და მდგრადობა საპროექტო დონეზე უზრუნველყოფილია. ვადასტურებ, რომ ყველა სახის სამუშაო შესრულებულია ყველა მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

დასკვნა: 1. მიმაჩნია, რომ საექსპერტო დასკვნაზე წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალოვანში მდინარე ძირულაზე საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოთა შესრულებაზე ფორმა №2-ში დაფიქსირებულ-შესრულებული სამუშაოები რაოდენობებითა და მოცულობებით სრულ შესაბამისობაშია საპროექტო დოკუმენტაციაში და წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულთან.

2. აგრეთვე ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის სიდიდეებიც 6-6%-ის ოდენობით არ აღემატება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარს №55 დადგენილებით მიღებულ ტექნიკურ რეგლამენტს - „სამშენებლო სამუშაოების

სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" შესახებ და მისადებია დამკვეთსა და სამუშაოს შემსრულებელ ფირმას შორის ანგარიშსწორებისათვის.

3. შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2 შევსებულია მომქმედი სამშენებლო ნორმებით დადგენილი წესების დაცვით, მასალა-ნაკეთობებზე შესყიდვის დოკუმენტაცია დასტურდება სასაქონლო ანგარიშ-ფაქტურებით. სამუშაოთა შესრულების ხარისხი ეთანადება სამშენებლო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნილებებს, რის გამოც ფორმა №2-ს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

ექსპერტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველოს საინჟინრო
აკადემიის ნამდვილი წევრი
(აკადემიკოსი)

INDIVIDUAL ENTERPRISE

რევაზ მახვილაძე

ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"
ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, 1 კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232-88-15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-120/14 29 ოქტომბერი 2014 წელი

საექსპერტო დასკვნა

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიჩში გაგნიძეების უბანში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოთა შესრულებაზე დამადასტურებელი ფორმა №2-ის შემოწმება

აღნიშნული სამუშაოები შეასრულა ი/მ „პავლე ქემერტელიძემ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარესთან ქალბატონ ინგა ზაბახიძესთან 2014 წლის 25 ივნისს დადებული №101 ხელშეკრულების საფუძველზე.

საექსპერტო დასკვნის შედგენის საჭიროებით გადმომეცა წინასწარი ხარჯთაღრიცხვა და ფორმა №2 მასში დაფიქსირებული სამუშაოთა რაოდენობებით. ადგილზე დავათვალიერე ობიექტი და გადავამოწმე ფორმა №2 ჩამოთვლილი სამუშაოები, მათი ფართები და მოცულობები საკონტროლო აზომვების ჩატარებით, აგრეთვე მოვახდინე შესრულებულ სამუშაოთა ფოტო ფიქსაციაც.

გაბიონის სიგრძე 20 გრძივი მეტრია, მის მოწყობაზე შესრულდა მიწის სამუშაოები ექსკავატორით 15 $მ^3$ გრუნტის ამოღება-გადაადგილებით, მოეწყო თხრილი, დამზადდა გაბიონისათვის ბადის ყუთები 158 $მ^2$ ფართობზე, შეგროვებულია ადგილობრივი რიყის ქვები მოცულობით 35 $მ^3$, დატვირთულია თვითმცლელებზე მოტანილია ადგილზე და იმავე რაოდენობით ჩაწყობილია ყუთებში, სამუშაოს შესრულების შემდეგ მოხდა გრუნტის უკუ ჩაყრა 22 $მ^3$ მოცულობით, ასევე შესყიდულია ყუთების შესაკრავი მავრთული სიგრძით 198 მეტრი, რომლითაც მოიქსოვა ბადე 158 $მ^2$ ფართობზე.

ფორმა №2 მიხედვით პირდაპირმა ხარჯებმა შესრულებულ სამუშაოებზე შეადგინა 2469,20 ლარი, სატრანსპორტო ხარჯების გარეშე, მასზე დარიცხული ზედნადები ხარჯების (6%) და გეგმიური დაგროვების (6%) ჩათვლით მთლიანი ღირებულება 2774,39 ლარია (ორიათას შვიდას სამოცდა თოთხმეტი ლარი და 39 თეთრი). სატრანსპორტო ხარჯები 822,44 ლარის ოდენობით დამატებულია ცალკე და მთლიანი ღირებულება შეადგენს 3596,83 ლარს (სამიათას ხუთას ოთხმოცდა თექვსმეტი ლარი 83 თეთრი).

აღნიშნულით სატრანსპორტო ხარჯებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მდგრადობის მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანებაში პუნქტი №3 სამუშაოების შემსრულებელი ინდმეწარმის მიერ დაქირავებული სამშენებლო-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობისას შესრულებული სამუშაოების აქტში მათი დაფიქსირება უნდა მოხდეს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის გარეშე.

საქართველოს კანონმდებლობით იურიდიული პირი თუ მისი წლიური შემოსავალი ასი ათას ლარზე ნაკლებია დამატებითი ღირებულების გადასახადს არ იხდის და მოცემულ შემთხვევაშიც შესრულებულ სამუშაოებზე დღგ გათვალისწინებული არ ყოფილა.

გაბიონის სიგრძე 20 გრძივი მეტრია, სიმაღლით ერთი მეტრი. სამუშაოები შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

დასკვნა: 1. მიმაჩნია, რომ საექსპერტო დასკვნაზე წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიჩში გაგნიძეების უბანში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოთა შესრულებაზე ფორმა №2-ში დაფიქსირებულ-შესრულებული სამუშაოები რაოდენობებითა და მოცულობებით სრულ შესაბამისობაშია საპროექტო დოკუმენ-ტაციაში და წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულთან.

2. აგრეთვე ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის სიდიდეებიც 6-6%-ის ოდენობით არ აღემატება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარს №55 დადგენილებით მიღებულ ტექნიკურ რეგლამენტს - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" შესახებ და მისადებია დამკვეთსა და სამუშაოს შემსრულებელ ფირმას შორის ანგარიშსწორებისათვის.

3. შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა №2 შევსებულია მომქმედი სამშენებლო ნორმებით დადგენილი წესების დაცვით, მასალა-ნაკეთობებზე შესყიდვის დოკუმენტაცია დასტურდება სასაქონლო ანგარიშ-ფაქტურებით. სამუშაოთა შესრულების ხარისხი ეთანადება სამშენებლო სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნილებებს, რის გამოც ფორმა №2-ს რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

ექსპერტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველოს საინჟინრო
აკადემიის ნამდვილი წევრი
(აკადემიკოსი)

INDIVIDUAL ENTERPRISE REVAZI MAKHVILADZE

რევაზ მახვილაძე